

ინფორმაციისა და მართვის სისტემების

ფაკულტეტი

2017 წლის

სამეცნიერო ანგარიში

მართვის სისტემების დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი: ასოცირებული პროფესორი ქეთევან კოტრიკაძე

თანამშრომლები:

1	ჯოხაძე პაატა დავითის ძე	მოწვ. პროფ.	1
2	სესაძე ვალიდა კონსტანტინეს ას	პროფესორი	1
3	შანშიაშვილი ბესარიონ გიორგის ძე	პროფესორი	1
4	მჭედლიშვილი ნინო ფარნაოზის ას	პროფესორი	1
5	ნარიმანაშვილი ნოდარ ივანეს ძე	პროფესორი	1
6	ყანჩაველი ლიანა დავითის ას	პროფესორი	1
1	კოტრიკაძე ქეთევან ომარის ას	ასოც. პროფ.	1
2	მალაკელიძე ნანა ილის ას	ასოც. პროფ.	1
3	გაჩეჩილაძე ლელა ფრიდონის ას	ასოც. პროფ.	1
4	კუცია ირმა სვერიანის ას	ასოც. პროფ.	1
5	კეკენაძე ვლადიმერი მიხეილის ძე	ასოც. პროფ.	1
6	დავითაშვილი ირმა ალექსანდრეს ას	ასოც. პროფ.	1
1	ხუციშვილი თეა გმირის ას	ასისტ. პროფ.	1
2	კურკუმული ნანა გიორგის ას	ასისტ. პროფ.	1

1	კოტრიკაძე ომარ გრიგოლის ძე	მოწვ. პროფ.	1
2	გრიგალაშვილი ჯემალ	მოწვ. პროფ.	1
3	მაჭარაშვილი თეიმურაზ ნიკოლოზის ძე	მოწვ. პროფ.	0,5

I. 3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე მასთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სსიპ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4	5
1	„მიწისძვრების დროში განაწილების დინამიკური კვლევა“ წამყვანი ორგანიზაცია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გრანტი №217838		თეიმურაზ მაჭარაშვილი ეკატერინე მეფარიძე ირმა დავითაშვილი

ანოტაცია

მიწისძვრების დროში განაწილების სხვადასხვა ასპექტების შესწავლა თანამედროვე დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებაში წარმოადგენს ერთ-ერთი მთავარ ინტერდისციპლინალურ გამოწვევას. წარმოდგენილი პროექტის მიზანია მიწისძვრების დროში განაწილების კვლევა

საველე, ლაბორატორიული და მოდელით სიმულირებული მოლოდინის დროების მიმდევრობების მონაცემთა მასივების გამოყენებით. მიწისძვრის დინამიკური, მაშსტაბური და სხვა მახასიათებლების ანალიზი დროში განაწილება წარმოადგენს პროექტის მთავარ ამოცანას. შესწავლილი იქნება მიწისძვრების დროში განაწილების დინამიკური მახასიათებლების დროითი ვარიაცია. თანამედროვე მონაცემთა ანალიზის მეთოდები, როგორცაა სტატისტიკური, დინამიკური, მასშტაბური და ა.შ. გამოყენებული იქნება შერჩეულ საველე, ლაბორატორიულ და მოდელით სიმულირებულ მონაცემებზე. პროექტი ეფუძნება საკითხის კვლევაში ავტორების გამოცდილებას და მიწისძვრების დროში განაწილების საკითხისადმი ბოლო ათწლეულში გაზრდილ სამეცნიერო ინტერესს. პროექტის შედეგებს ექნება როგორც დიდი სამეცნიერო აგრეთვე პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგანაც ხელსშეუწყობს მომავალ პროგრესს საფრთხის შეფასებისა და ძლიერ იმიწისძვრის პროგნოზის საკითხებში.

**III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**  
(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

1	T. Matcharashvili, Z. Tsveraidze, T. Chelidze, M. Janiashvili	Quantifying temporal correlations in complex processes via algorithmic and information measures,	Information and Computer Technology, Modeling and Control: Proceedings of the International Scientific Conference Devoted to the 85th Anniversary of Academician I. V. Prangishvili 1 January 2017, Book chapter, Pages 247-256, ISBN: 978-153612094-3;978-153612075-2, Nova Science Publishers, Inc.
---	---	--	---

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Teimuraz Matcharashvili, Tamaz Chelidze, Zurab Tsveraidze, Multivariate International	Analysis of Variation of Annual Number of Warmer and Colder Days Derived from Data Sets of Daily Maximum Air Temperatures, page 83 in Book of Annotations of the 10th Chaotic Modeling and Simulation	Conference (Barcelona, Spain: 30 May-2 June, 2017), Editor: Christos H Skiadas, pages 83-84.
2	T. Matcharashvili, N. Zhukova, E. Mepharidze, A. Sborshikov, of ITISE 2017	Analysis of time series of earthquake occurrence in Caucasus, 1240-1243, in Proceedings	International work-conference on Time Series, Granada, September, 18-20, 2017.

საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი - პროფესორი აკაკი გიგინეიშვილი

თანამშრომლები:

1	გიგინეიშვილი აკაკი ვლასის ძე	პროფესორი	1
2	კოტეტიშვილი ქეთევან ვახტანგის ას	პროფესორი	1
3	გერასიმოვი ალექსი ბორისის ძე	პროფესორი	1
4	ჩხარტიშვილი ლევან სანდროს ძე	პროფესორი	1

5	კერვალიშვილი პაატა ჯამლეთის ძე	პროფესორი	1
6	გლურჯიძე ლევანი ნოდარის ძე	პროფესორი	1
7	ჩაჩხიანი ზურაბ ბიძინას ძე	პროფესორი	1
8	კვინტრაძე ვახტან იოსების ძე	პროფესორი	1
9	ძიგრაშვილი თეიმურაზ არკადის ძე	პროფესორი	1
10	ქუთელია ელგუჯა რაჟდენის ძე	პროფესორი	1
11	ჯიშიაშვილი დავით ალექსანდრეს ძე	პროფესორი	0,5
12	ჩიხრაძე ნიკოლოზ მიხეილის ძე	პროფესორი	0,5
13	ეთერაშვილი თამაზ ვასილის ძე	პროფესორი	0,5
14	გოდერძიშვილი გელა იოანეს ძე	პროფესორი	0,5
15	ნაბახტიანი გიორგი ნუგზარის ძე	პროფესორი	0,5
16	დოლიძე ნუგზარ დავითის ძე	პროფესორი	0,5
1	ფალავა თეიმურაზ ალექსანდრეს ძე	ასოც. პროფ.	1
2	გორგაძე კახა მიხეილის ძე	ასოც. პროფ.	1
3	კალანდაძე იამზე გალაქტიონის ას	ასოც. პროფ.	1
4	ბუაჩიძე ზაქარია ელგუჯას ძე	ასოც. პროფ.	1
5	ბერბერაშვილი თამარ მიხეილის ას	ასოც. პროფ.	1
6	კაპანაძე ანდრო ანდროს ძე	ასოც. პროფ.	1
7	მინაშვილი თამაზ აკაკის ძე	ასოც. პროფ.	1
8	ბუალავა თამარ ნიკოლოზის ას	ასოც. პროფ.	1
9	ჩიხლაძე გურამ გრიგოლის ძე	ასოც. პროფ.	1
10	ჯანელიძე გოდერძი არჩილის ძე	ასოც. პროფ.	1

11	დავითაძე ქეთევან	ასოც. პროფ.	1
12	ბერიკაშვილი თეიმურაზ ირაკლის ძე	ასოც. პროფ.	1
13	გოგუა ზურაბ გაიოზის ძე	ასოც. პროფ.	0,5
14	გობრონიძე ვალერიან ვლადიმერის ძე	ასოც. პროფ.	0,5
15	გზირიშვილი დავით გიორგის ძე	ასოც. პროფ.	0,5
16	მიქელაშვილი ვლადიმერ თეიმურაზის ძე	ასოც. პროფ.	0,5
1	ესიავა რამაზ აკაკის ძე	ასისტ. პროფ.	1
2	ჭირაქაძე არჩილ არჩილის ძე	ასისტ. პროფ.	1
3	ქევიშვილი მაია	ასისტ. პროფ.	1
4	კოტია ბეჟან არკადის ძე	ასისტ. პროფ.	1
5	ხაჩიძე თენგიზ ირაკლის ძე	ასისტ. პროფ.	1
6	ჩხრაძე მიხეილი ნიკოლოზის ძე	ასისტ. პროფ.	1
7	ჟღენტი მაია იოსების ას	ასისტ. პროფ.	1
1	შოგირაძე მარიენ	ასისტენტი	1
2	აუთვისებელი	ასისტენტი	0
1	ნიკურაძე ჯემალი	მოწვ. პრ.	1
2	მელაძე ვახტანგი	მოწვ. პრ.	1
3	შენგელია მარინა	მოწვ. პრ.	1
4	ჯაბუა ზაურ	მოწვ. პრ.	1
5	დადიანი თეიმურაზი 0,5	მოწვ. პრ.	0,5

6	ილურიძე გიორგი 0,5	მოწვ. პრ.	0,5
7	ჭონიშვილი გიორგი 0,5	მოწვ. პრ.	0,5
1	ჩიხლაძე მანანა	მოწვ. ასოც. პრ.	1
2	ბოჭორიშვილი მიხეილი	მოწვ. ასოც. პრ.	1
3	გოგიჩაიშვილი ვახტანგი	მოწვ. ასოც. პრ.	1
4	ესაკია აბესალომი	მოწვ. ასოც. პრ.	1
5	თაქთაქიშვილი მიხეილი	მოწვ. ასოც. პრ.	1
6	კეთილაძე ომარი	მოწვ. ასოც. პრ.	1
7	ნაჭყებია დათო	მოწვ. ასოც. პრ.	1
8	ჩახვაშვილი ლალი	მოწვ. ასოც. პრ.	1
9	ცირეკიძე მზია	მოწვ. ასოც. პრ.	1
10	წულუკიძე მანანა	მოწვ. ასოც. პრ.	1
1	ბერიძე მანანა	უფ. მასწ. დაცული	1
2	ბიბილური მალხაზი	უფ. მასწ. დაცული	1
3	დარჩიაშვილი ლალიტა	უფ. მასწ. დაცული	1
4	დეკანოსიძე შორენა	უფ. მასწ. დაცული	1
5	ესიავა ნონა	უფ. მასწ. დაცული	1
6	კაპანაძე ქეთევან	უფ. მასწ. დაცული	1
7	კობაიძე ქეთევან	უფ. მასწ. დაცული	1
8	ტეტელოშვილი მზია	უფ. მასწ. დაცული	1
9	ხიზანიშვილი შორენა	უფ. მასწ. დაცული	1
10	ხოჭოლავა დარეჯან	უფ. მასწ. დაცული	1

11	ბარამიძე ქეთევან	უფ. მასწ.	1
12	ილურიძე დავით	უფ. მასწ.	1
13	კასრაძე გრიგოლი	უფ. მასწ.	1
14	კვირიკაშვილი მანანა	უფ. მასწ.	1
15	მაჭარაშვილი მარინა	უფ. მასწ.	1
16	ნარუსლიშვილი ჯულიეტა	უფ. მასწ.	1
17	ტაბატაძე გრიშა	უფ. მასწ.	1
18	ქავთარაძე ნატალია	უფ. მასწ.	1
19	ჩაგელიშვილი ლალი	უფ. მასწ.	1
20	ჩხაიძე მანონი	უფ. მასწ.	1
21	ჭელიძე ლია	უფ. მასწ.	1
22	ხვედელიძე ნემო 0.5	უფ. მასწ.	1
23	ხორბალაძე თინათინ	უფ. მასწ.	1
24	ჯოხაძე ნათელა	უფ. მასწ.	1
25	მეცხვარიშვილი მაგდა	უფ. მასწ.	1
26	ტაბატაძე ირაკლი 0.5	უფ. მასწ. დაცული	0,5
27	მამისაშვილი ნანა ანროს ასული	უფ. მასწ. დაცული	0,5
28	ბეროზაშვილი მანანა 0.5	უფ. მასწ.	0,5
29	გვაზავა რევაზ 0.5	უფ. მასწ.	0,5
30	გიორგაძე ირმა 0.5	უფ. მასწ.	0,5
31	კიკნაველიძე მანანა 0.5	უფ. მასწ.	0,5
32	ნატროშვილი მარიამ 0.5	უფ. მასწ.	0,5
33	სიხარულიძე მანანა 0.5	უფ. მასწ.	0,5



34	ჯანჯღავა ირინე 0.5	უფ. მასწ.	0,5
----	--------------------	-----------	-----

I. 3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე მასთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სსიპ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4	5
1	<p>ნანო-სენსორული სისტემებით პათოგენური მიკროორგანიზმების დეტექტირების მოდელის შესწავლა-შემუშავება.</p> <p>სამეცნიერო მიმართულება - ნანომასალები, ნანოსტრუქტურები, ნანოტექნოლოგია, 3-250</p>	<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.</p> <p>FR/430/3-250/13</p> <p>2014-2017 წლები</p>	თამარ ბჟალავა	<p>ძირითადი შემსრულებლები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. პაატა კერვალიშვილი, წამყვანი მეცნიერ-მკვლევარი,</li> <li>2. ქეთევან კაპანაძე, მკვლევარი,</li> <li>3. ვახტანგ კვინტრაძე, წამყვანი მეცნიერ-მკვლევარი.</li> </ol> <p>დამხმარე პერსონალი-ასისტენტ-მკვლევარები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მზია ცირეკიძე,</li> <li>2. გურამ ჩიხლაძე,</li> <li>3. გოგა კაკაბაძე,</li> <li>4. ლევან გოდერძიშვილი.</li> </ol> <p>მკვლევარი ექსპერტები:</p>

				1. ქეთევან კოტეტიშვილი, 2. ირმა ქევანიშვილი, 3. დავით საცერაძე, 4. იულია ზედგენიძე.
2	„მესამე ჯგუფის ელემენტების ნიტრიდების ნანოფირებში დაბალტემპერატურული ფოტონური გამოწვის მექანიზმების კვლევა, მეთოდის დამუშავება“.  2014–2017წწ  კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა – ნანოტექნოლოგიები	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნუგზარ დოლიძე	სსიპ „მიკრო– და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტი“
3	კერამიკული ნანოკომპოზიტების სინთეზი Si-B-C სისტემაში მექანიკური ლეგირებით და აფეთქებით კომპაქტირებით  მეცნიერების დარგი: 2-ინჟინერია და ტექნოლოგიები; 2.5 მასალათა ტექნოლოგია; 2.10 ნანოტექნოლოგია	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნიკოლოზ ჩიხრაძე	გურამ აბაშიძე, ნიკა ბოჭორიშვილი, მიხეილ ჩიხრაძე, ლევან ჯაფარიძე, ზურაბ მალვენიშვილი
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

1. ბიოლოგიური ობიექტების - პათოგენური მიკროორგანიზმების, ვირუსების, სხვადასხვა წარმოშობის ბიოეროზოლოზ ნაწილაკთა, ბიოაგენტების დეტექტირების და იდენტიფიკაციის ამოცანას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანდაცვის, გარემოს მონიტორინგისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით. ვირუსულ ნაწილაკთა, როგორც მედიკამენტის გადამტანი მატრიცების და ნანოსტრუქტურების, ფიზიკური და სპექტროსკოპული თვისებების შესწავლა აქტიური კვლევის სფეროა ნანობიომეცნიერების და ნანოტექნოლოგიების დარგებში მომუშავე სამეცნიერო ჯგუფების და კვლევითი ცენტრების: მიჩიგანის და კალიფორნიის (სან-დიეგო) უნივერსიტეტების, არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის და ბალტიმორის ჯონ ჰოპკინსის სამედიცინო ინსტიტუტის, ჰარვარდის უნივერსიტეტის, პარიზის უნივერსიტეტის და ნამურის უნივერსიტეტის (ბელგია), ნიდერლანდების, კალიფორნიის (ლოს-ანჯელესი) უნივერსიტეტის, ბრუკლინის უნივერსიტეტის და სხვა (იხ. ლიტერატურა, გრანტის დანართის სახით).

რეალურ გარემოში ბიოეროზოლოზ ნაწილაკთა დეტექტირების ამოცანა არის მრავალკომპონენტური და მრავალპარამეტრიანი, შესაბამისად მისი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ეტაპობრივად, გამარტივებულიდან რეალურ ადექვატურ მოდელთან მიახლოების გზით. ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს კროსდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული ხასიათის კვლევების განხორციელებას მიკრობიოლოგიის, სენსორული, გაზომვითი და გამოთვლითი ტექნიკის, გამოყენებითი ფიზიკისა და მათემატიკის მიმართულებებით.

თანამედროვე მეცნიერული ცოდნის გამოყენებით, ადგილობრივი და საერთაშორისო ლიტერატურული წყაროების ბეჭდვითი, ინტერნეტ-გამოცემების შესწავლისა და ანალიზის, რომელიც განხორციელდა ა) ბიო-ობიექტების (BO) და გარემოს (CE), ბ) სენსორული სისტემებისა (BS), პროგრამული და ქსელური სერვისების (NS), მათი ძირითადი კომპონენტების და მახასიათებელი პარამეტრების დადგენის მიზნით, პროექტის ფარგლებში ჩატარებული თეორიული და გამოთვლითი ხასიათის სამუშაოების შედეგად შემუშავებულია პათოგენური მიკროორგანიზმების, კერძოდ ვირუსების დეტექტირების კონცეფცია და თეორიული საფუძვლები, ბიონაწილაკთა სპექტროსკოპული და გამზნევი თვისებების ერთიანი თეორიული და სიმულაციური კვლევის მეთოდოლოგია, ამოხსნილია ერთ/ორ პარამეტრიანი მოდელური ამოცანა, შესწავლილი და შემუშავებულია ნანო-სენსორული სისტემებით პათოგენური მიკროორგანიზმების დეტექტირების მოდელი, გადაწყვეტილია ერთ-ერთი სახეობის ვირუსის დეტექტირება-იდენტიფიკაციის მოდელური ამოცანა მანქანური ექსპერიმენტის და სიმულაციური პროექტის სახით.

პათოგენური მიკროორგანიზმების, კერძოდ ვირუსების დეტექტირების მოდელის შემუშავების მიზნით განხილულ იქნა კვლევის ოთხი მიმართულება: 1. ბიო-ობიექტების (BO), 2. გარემოს (CE), 3. სენსორული სისტემებისა (BS), 4. პროგრამული და ქსელური სერვისების (NS) განხრით. გამოყენებულ იქნა შესაბამის დისციპლინებში აპრობირებული კვლევის თვისობრივად განსხვავებული მეთოდები.

კვლევის სტრატეგია მოიცავს კვლევის ობიექტის კომპონენტების და მახასიათებელ პარამეტრთა

სიმრავლის შერჩევას, ანალიზს, მოდელის, სქემის ან მეთოდის შერჩევა-შემუშავებას. შედეგად დეტექტირების კონცეფციის, კვლევის თეორიული საფუძვლების შემუშავებას.

1. ბიო-ობიექტების (BO) სახით განხილულ იქნა ერთეული ვირუსული ნაწილაკები და ნაწილაკთა სისტემები (ბიოაეროზოლები). მოდელისათვის სამიზნე ჯგუფის შეჩვევის მიზნით შესწავლილ იქნა პათოგენურ მიკროორგანიზმთა სიმრავლე (ბაქტერიები, ფაგები, ვირუსები) ზოგადი მახასიათებელი თვისებების (გეომეტრიული, მორფოლოგიური, სტრუქტურული, მექანიკური, ბიო-ქიმიური, ელექტრული, სპექტრული), არაცოცხალ გარემოში სიცოცხლისუნარიანობის, გარემოში გავრცელების გზების, გამომწვევი დაავადებების მიხედვით. განხილულ იქნა მათი კლასიფიკაციის, მორფოლოგიის, გეომეტრიული მახასიათებლების შეფასების წესები, სტრუქტურული სტაბილურობის, სასიცოცხლო ციკლის ეტაპების, თვითაწყობის პროცესების, ფიზიკური თვისებების შესწავლის შედეგები.

ანალიზისთვის შედგენილ იქნა ცხრილები (იხ. გრანტის დანართი) ბაქტერიების, ფაგების, ვირუსების ზოგადი და სპეციფიური მახასიათებლების მიხედვით.

შემუშავდა მოდელის (BO)-ის სამიზნე ჯგუფის შერჩევის კრიტერიუმები:

ა) გავრცელების ჰაერ-წვეთოვანი/ჰაერ-მტვროვანი/აეროზოლური გზები; ბ) ნაწილაკების ზოგადი მახასიათებელი პათოგენების დიდი ჯგუფისთვის; გ) გარემომცველ არაცოცხალ გარემოში არსებობის მეტ-ნაკლები სიცოცხლისუნარიანობა, სტაბილურობა.

დადგენილ იქნა : (BO) ჯგუფის (ვირუსები/ფაგები) მახასიათებელ პარამეტრთა სიმრავლე ( $d, \phi, \omega, \sigma, B$  - დიამეტრი, ფორმა, სიხშირე, მუხტი, ბიოქიმიური პარამეტრი), ცვლილების არეები. მოდელისმიზნებისთვის, შემდგომი კვლევისთვის და ტესტირებისთვის შეირჩა: (BO)-ის ჯგუფის სახით, პათოგენურ მიკროორგანიზმთა/ვირუსთა სიმრავლიდან, ნაწილაკების, იკოსაედრული ფორმის, უშალითო, ვირუსები/ფაგები, კერძოდ რინოვირუსები (153 სეროტიპის, Rhinovirus A,B, C), რომელთა გავრცელება გარემოში ხორციელდება ჰაერ-წვეთოვანი გზით, გავრცელების ფორმას წარმოადგენს ვირიონის შემცველი აეროზოლური ნაწილაკი.

ვირუსების მორფოლოგიის საფუძველზე, კაპსიდის პროტეინებთან და დნმ/რნმ-თან დაკავშირებული ელექტრო-გეომეტრიული (3e-2g) პარამეტრების გამოყენებით, შემუშავებულია იკოსაედრული, სპირალური, გაჭიმული იკოსაედრული, ჩხირისებრი ფორმის ვირიონების გული-გარსი სტრუქტურის, ვირუსულ ნაწილაკთა ფიზიკური (VLP) მოდელი, რომლის გეომეტრიულ აპროქსიმაციას წარმოადგენს სფერო ან ცილინდრი ფენოვანი გარსით.

(BO)-ის, ბიონაწილაკთა სისტემის (ბიოაეროზოლის) კუთხით განხილულ იქნა ბიოაეროზოლების მახასიათებელი ძირითადი პარამეტრების-ბიონაწილაკთა კონცენტრაციის, ზომების და განაწილების დამოკიდებულება გარემოს ტენიანობაზე, ტემპერატურაზე, გარემოს სხვა ფაქტორებზე, ბიოაეროზოლთა ფორმირება და გადაცემა, აეროზოლური კვლევების და გავრცელების მათემატიკური და სიმულაციური მოდელები, მათი მოდიფიცირების

შესაძლებლობები, სიმულაციური მოდელის ძირითადი პარამეტრები.

2. გარემოს (CE) შესწავლის კუთხით განხილულ იქნა გარემოს შემადგენლობა გარემოს შემფოთების წყაროს (სამიზნე ბიოობიექტის) გარეშე. განისაზღვრა გარემოს ძირითად პარამეტრთა სიმრავლე, რომლებზეც გავლენას ახდენენ ბიოობიექტები და გარეშე ფაქტორები, (CE) გარემოს მახასიათებელ პარამეტრთა შორის თვისობრივი და რაოდენობრივი დამოკიდებულება.

კვლევის შედეგად განისაზღვრა (CE) გარემოს და შერჩეული (BO)-ის ჯგუფის მახასიათებელი ფუნქციები  $G_N(V_s, N_s, \epsilon_s)$ , ვირუსის  $i$ -ური სახეობისთვის  $M_i(d, \phi, \omega, \sigma, B)$ , სადაც  $N_s$  ნაწილაკთა კონცენტრაციების ჯამია,  $\epsilon_s(\omega)$  გარემოს ელექტრული/ოპტიკური მახასიათებელი პარამეტრი  $V_s$  მოცულობაში.

3. სენსორული სისტემების (BS) განხრით განხილულ იქნა სენსორების ტიპები, სენსორული სისტემების კომპონენტები, ფუნქციონალური დანიშნულება, მახასიათებელი პარამეტრები, სენსორებიდან მიღებული ინფორმაციის, სიგნალების სახეები; ზონდირების, იდენტიფიცირების, სენსორების საშუალებები (BO)-ის მახასიათებელი (ზომა, კონცენტრაცია, ელექტრო/ოპტიკური) პარამეტრების მიხედვით; დეტექტირების, იდენტიფიცირების საშუალებები დისტანცირების მანძილების მიხედვით.

მათ შორის ყურადღება გამახვილდა ნანო- და ნანობიოსენსორებზე, რომლებიც გამოიყენება ბიო-აეროზოლური ნაწილაკების, მათ შორის (VPs) ნაწილაკების დეტექტირება-იდენტიფიკაცია-სენსორებისთვის გარემოს მონიტორინგის და ბიო-სამედიცინო გამოყენების მიმართულებებით. გაანალიზებულ იქნა ბიოობიექტთა, ბიოაეროზოლურ ნაწილაკთა დეტექტირება-იდენტიფიცირების მეთოდები, პრინციპები, ნანოტექნიკა - ნიმუშების აღება, შერჩევა-გადარჩევა, კონტაქტური ანალიზი, დეტექტირება, დაკვირვება მანძილზე; ოპტიკური ნანო და ნანობიო სენსორების ძირითადი ტექნიკური, ტექნოლოგიური მაჩვენებლები, რეჟიმები.

შედეგად შეირჩა ბიონაწილაკთა დეტექტირება-სენსორებისთვის ოპტიმალური, ოპტიკური (IR, Vis, UV) დიაპაზონის ოპტიკური ნანო-სენსორები და ოპტიკური, სპექტროსკოპული ტექნიკა.

4. პროგრამული სერვისების (NS) კომპონენტების განხრით განხილულ იქნა ფიზიკა-ბიოლოგიის ბაზაზე შექმნილი აპრობირებული სიმულაციური და გამოთვლითი პროგრამული პაკეტები: MATLAB, COMSOL Multiphysics, NEi Nastran, AMBER, CHARMM, SAGUARO, პროექტის ფარგლებში მათი გამოყენების შესაძლებლობები. პროგრამების შექმნის, რიცხვითი ექსპერიმენტების და სიმულაციისთვის შერჩეულ იქნა MATLAB პროგრამული უზრუნველყოფა.

(BO)-ის დეტექტირების ამოცანის გადაწყვეტისთვის, ერთ/ორ პარამეტრიანი მოდელის ფარგლებში, კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით, გამოყენებულ იქნა ელექტროდინამიკასა და ელექტრომაგნიტურ (ემ) ტალღათა თეორიაში, მათემატიკური სტატისტიკაში აპრობირებული მეთოდები.

განხილულ იქნა:

- მოცემულ გარემოში გამოსხივების წყაროდან სიგნალის, ელექტრომაგნიტური (ემ) ტალღის და მოდელირებული ბიოობიექტის (BO) ურთიერთქმედების ამოცანა,

- ამოცანათა ამოხსნის მიზნით, ორითეორიული კონცეფცია დამეთოდი:

a) დეტერმინისტული, რომლის საფუძველს წარმოადგენს მაქსველის ემ თეორია და განტოლებათა სისტემა, ტალღური განტოლება, ცვლადთა განცალების მეთოდი, ჰელმჰოლცის განტოლების ამონახსნები, ელექტროდინამიკის სასაზღვრო ამოცანების ამონახსნის მეთოდები; მრავალ ნაწილაკთა განხილვისას ენერგეტიკული პარამეტრების წარმოდგენა საშუალო მნიშვნელობების სახით, ფლუქტუაციების გათვალისწინების გარეშე.

b) სტატისტიკური, რომლის საფუძველს წარმოადგენს გამბნევი ნაწილაკების ე.წ. შემთხვევითი „ღრუბლის“ მოდელი, დამახასიათებელი ნაწილაკთა უწყვეტი, ქაოსური, მოძრაობით, ემ ველის ფლუქტუაციური თეორია გამბნევი ნაწილაკებზე, გაბნეული ველის შეფასება მატემატიკური სტატისტიკის ანალიზით, ემ ველის პარამეტრების წარმოდგენა სტატისტიკური მახასიათებლების საშუალებით.

წარმოდგენილ იქნა მოდელირებულ, სფერული და ცილინდრული ფორმის ერთეულ VLP ნაწილაკზე ემ ტალღის გაბნევის ამოცანის დეტერმინისტული ამონახსნი. შესაბამისად განხორციელდა ელექტროდინამიკის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა, გადაწყვეტილ იქნა შემდეგი ძირითადი ქვე-ამოცანები:

- ფიზიკური ამოცანის ფორმულირება მოდელის გეომეტრიის ადეკვატურ კოორდინატთა სისტემაში, პარამეტრების დიფერენცირება,
- ვექტორული ამოცანის (სფერული მოდელის შემთხვევაში) გამარტივებისთვის მეთოდის შერჩევა,
- ტალღური განტოლების თეორიული ამონახსნის განსაზღვრა (3D) და (2D) განზომილებიანი ობიექტებისთვის, სფერულ და ცილინდრულ კოორდინატთა სისტემებში,
- ელექტროდინამიკის სასაზღვრო პირობების ფორმულირება,
- ელექტრული და მაგნიტური ველის კომპონენტების წარმოდგენა ფუნქციონალური განტოლებების სახით, ალგებრულ განტოლებათა სისტემად გარდაქმნა, ამოხსნა ველის მულტიპოლური კოეფიციენტების მიმართ, ემ ველის ყველა კომპონენტის წარმოდგენა მულტიპოლურ ველთა ჯამის სახით,
- ბიო-ობიექტის (BO) გული-გარსის და გარემოს არეებში ემ ველის ცხადი სახით წარმოდგენა მულტიპოლური კოეფიციენტების გამოყენებით,  $E$  - და  $H$  - ტიპის ტალღებისთვის.
- თეორიული და გამოთვლითი სახის ამოცანები, კერძოდ მოდელირებულ VLP ნაწილაკებზე გაბნეული ემ ველის კომპონენტების, VLP ნაწილაკთა გაბნევის უნარიანობის მახასიათებელთა (გაბნევის განივი კვეთის-სრული ( $\sigma_T$ ), დიფერენციალური -  $\sigma_F$  და  $\sigma_B$ , გამოსხივების დიაგრამის, კუთხური ფუნქციების) წარმოდგენა ანალიზური სახით, გამოსახულებათა ანალიზი ტალღურ ( $kr \gg 1$ ) ზონაში.

მრავალნაწილაკიანისისტემის ნაწილაკთა შემთხვევითი „ღრუბელის“ მოდელის ფარგლებში, ნაწილაკთა სისტემა განხილულ იქნა შემთხვევითი განაწილების დისკრეტული „გამბნევის“ ერთობლიობის სახით, რომლის ბაზაზე წარმოდგენილ იქნა მრავალნაწილაკიან სისტემაზე ემ ტალღის გაბნევის ამოცანის გადაწყვეტის თეორიული საფუძვლები (სხვადასხვა მიახლოებებში), მეთოდების შერჩევის კრიტერიუმები, კავშირი გარემოს სტრუქტურის და ბიომოდელის პარამეტრებთან ( $\ell_\lambda, D_\lambda, L_\lambda, R_\lambda$ ), კოჰერენტული და არაკოჰერენტული გაბნევის პირობებში.

მრავალნაწილაკიან სისტემაზე ემ ტალღების გაბნევის ამოცანის ამოხსნის მიზნით, შემთხვევითად არაერთგვაროვან (CE) მოდელურ გარემოში, გამოიყენება:

მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები -

ა) მრავალნაწილაკიანი სისტემის/ბიოაეროზოლის და ემ ტალღის მახასიათებელ პარამეტრთა შესწავლისას;

ბ) ემ ტალღების გაბნევის ამოცანაში (VLPs) ნაწილაკთა შემთხვევითი განაწილების პირობებში, ერთჯერადი და მრავალჯერადი გაბნევის მიახლოებითი თეორიების ფარგლებში.

სტატისტიკური მახასიათებლები-სტატისტიკური ცენტრალური მომენტები, კოჰერენტულობის, დროითი და სივრცითი კორელაციური ფუნქციები ემ ტალღის პარამეტრების (ამპლიტუდა, ფაზა) შეფასებისთვის.

განხილულ იქნა შესამუშავებელი მოდელის ფარგლებში, სტატისტიკური მეთოდებით დამუშავების ობიექტები, მონაცემთა სახეები; მონაცემთა დამუშავების, ანალიზის ეტაპები; მონაცემთა ანალიზის სტატისტიკური მეთოდები და სტატისტიკური მახასიათებლები.

ანალიზის შედეგად, განსაზღვრულ იქნა:

○ სტატისტიკურ შემთხვევით ცვლადთა/მონაცემთა სიმრავლეები - სენსორირებული/გაზომილი, შერჩევითი/სემპლირებული, მოდელირებული და ფორმალური; მათი შესწავლისა და ანალიზისთვის სტატისტიკური მახასიათებლები, დისკრიპტორები, შერჩევის თეორიისა და კორელაციის თეორიის გამოყენებით.

○ დინამიური მრავალნაწილაკიანი სისტემის მახასიათებელი, შემთხვევით ცვლადთა/მონაცემთა სიმრავლეები:

ა) ნაწილაკთა  $\{N\}$  კონცენტრაცია, განაწილება ზომების/დიამეტრების ( $D$ ) მიხედვით,

ბ) ზომების  $\{D_k\}$  შერჩეულ დიაპაზონში ( $N_k$ ) კონცენტრაციის განაწილება დროში,  $\{\Delta t_i\}$  ინტერვალების სიმრავლის მიხედვით.

○ (CE) გარემოს, მახასიათებელ ფუნქციათა  $G_N^o$  (ფონური) და  $G_N$  (VPs ნაწილაკთა არსებობის პირობებში) შეფასების მეთოდები, სტატისტიკური დისკრიპტორების-ნაწილაკთა დიამეტრის და სრული კვეთის საშუალოს, დისპერსიის, ლოგ-ნორმალური განაწილების მახასიათებლების

გამოყენებით.

დეტექტირების მოდელის სიმულაციური ნაწილის დამუშავების მიზნით შემუშავებულ იქნა:

- კომპიუტერული პროგრამის MatLab-ის ბაზაზე, ვირუსის მაგვარ (VL) ნაწილაკებზე ემ ტალღის ე.წ. „გაბნევის“ ამოცანების, 2D და 3D განზომილებიანი ელექტროდინამიკის სასაზღვრო ამოცანების თეორიული ამონახსნების საფუძველზე, ორი სხვადასხვა ფორმის (სფერული და ცილინდრული), გული-გარსი (Core-Shell) მოდელის ფარგლებში,  
ა) პროგრამული პაკეტი, მანქანური/რიცხვითი ექსპერიმენტების, VL ნაწილაკთა გაბნევის, სპექტროსკოპული თვისებების სიმულაციური შესწავლისთვის.

ბ) გამოთვლითი პაკეტი, რომელიც მოიცავს:

1. VLP ნაწილაკთა გაბნევის/სპექტროსკოპული თვისებების მანქანური ექსპერიმენტის/ სიმულაციის რიცხვით შედეგებს, წარმოდგენილს ცხრილებისა და გრაფიკების სახით. ცხრილებში წარმოდგენილია ემ ველის მულტიპოლურ კოეფიციენტთა სიდიდეები, სიზუსტის, ჯამებში წევრთა რიცხვის კონტროლის და ანალიზისთვის; გრაფიკებზე წარმოდგენილია მოდელირებული ვირონების (VLP ნაწილაკთა) „სპექტრული სურათები“, ემ ველის მახასიათებელთა  $\sigma_F$ ,  $\sigma_B$ ,  $\sigma_T$  დამოკიდებულება დაცემული ემ ტალღის ( $\lambda$ ) სიგრძეზე.

2. VPs ნაწილაკთა დეტექტირება-იდენტიფიკაციის პროცესის ვირტუალური მოდელის მონაცემთა იმიტირებულ ბაზას, ცხრილების (G pack sph\_cyl, Excel-ფაილი) სახით, გენერირებული სკრიფტ-პროგრამით ( $\sigma_F, \sigma_B, \sigma_T$  vs VLP-  $D$ ).

- ვირუსულ (VPs) ნაწილაკთა დეტექტირება-იდენტიფიკაციის პროცესის კომპიუტერული მოდელის პროგრამული უზრუნველყოფა, როლის დანიშნულებაა უცნობი ვირუსის მაგვარ (VLPs) ნაწილაკთა სიმრავლიდან, ნაწილაკთა ( $D_j \pm \Delta D_j$ ) დიამეტრების მოცემულ ინტერვალში, ვირუსული (VP) ნაწილაკის იდენტიფიცირება-დეტექტირება რეალურ დროში, მოცემულ ტალღის სიგრძეებზე ( $\lambda_i$ ), გაბნეული ტალღის (2+1) სიგნალიანი ანალოგის რიცხვით მონაცემთა (იდენტიფიკატორების) ანალიზის ბაზაზე. განხორციელდა მოდელის ტესტირება:

1. ემ ველის გაბნევის ამოცანების (სფერო-გარსი და ცილინდრი-გარსი მოდელებისთვის) თეორიული ამონახსნების ტესტირება კერძო, ეტალონური ამოცანების (სფერო და ცილინდრი) ამონახსნების შედეგების ბაზაზე, შედარებითი ანალიზი სხვა ავტორთა შრომების შედეგებთან.

2. შემუშავებული პროგრამული პაკეტის, სკრიპტ-პროგრამების (სფერო-გარსი და ცილინდრი-გარსი მოდელებისთვის) ტესტირება შემავალ პარამეტრთა/მონაცემთა (input data) მიხედვით, ავტომატური გადართვა შესაბამისი ეტალონური ამოცანების პროგრამულ (script.files), რიცხვით (გენერირებული სკრიპტ-პროგრამის გაშვების პროცესში, MAT-files სახით) და გრაფიკულ (ეკრანზე გამოტანილ fig.file) შედეგებში.



ჩატარებული ტესტირებით დადასტურდა შემუშავებული თეორიული ამონახსნების და გამომდინარე ანალიზური, რიცხვითი შედეგების სისწორე, საიმედოობა, პროგრამული მოდულების გამართულობა.

მოდელის დახვეწა და დაზუსტება განხორციელდა:

ა. სენსორული სისტემის კომპონენტების,

ბ. VPs ნაწილაკთა მახასიათებელ პარამეტრთა მონაცემთა ბაზის ფორმირების,

გ. დეტექტირება-იდენტიფიკაციის პროცესის ეტაპების და შესაბამისი ალგორითმების მიმართულელებით.

დამუშავდა ქსელური არქიტექტურა, ლოკალური (LAN) ქსელის მოდელი, გამარტივებული კონფიგურაცია წარმოდგენილ იქნა სქემატური სახით, არქიტექტურა - ვარსკვლავის ტოპოლოგიით, დაყოფილი სამ სეგმენტად A, B და C კომუტატორების მეშვეობით. განსაზღვრული იქნა ქვე-ქსელების ფუნქციები, ქსელის აგება Gigabit Ethernet-ის ტექნოლოგიაზე. განხილული იქნა ქსელის მუშაობის პრინციპი, სენსორების ინტეგრირებული (SInS) სისტემიდან მიღებული ინფორმაციის (რიცხვით ფორმატში) მიწოდება ქსელური მოწყობილობის გავლით ცენტრალურ კომპიუტერზე (სერვერზე) შესაბამის მონაცემთა ბაზაში, პროგრამული დამუშავების და ანალიზისთვის (Program pack\_Ident პაკეტის ბაზაზე), (VPs) ნაწილაკთა იდენტიფიკაციის რეჟიმის განხორციელებისთვის. განხილულ იქნა ქსელის ეფექტური მუშაობისთვის აუცილებელი მოთხოვნები - წარმადობა, საიმედოობა და უსაფრთხოება, მასშტაბირება და გაფართოება, გამჭვირვალობა, ს/ს პროტოკოლების მხარდაჭერა, მართვადობა, თავსებადობა წარმოდგენილი ქსელის მოდელთან კონტექსტში.

წარმოდგენილ იქნა VPs ნაწილაკთა დეტექტირება/იდენტიფიცირების პროცესის გამარტივებული სქემა, პროგრამული პაკეტის მუშაობის პრინციპი.

კვლევის შედეგები

წარმოდგენილია პათოგენურ მიკროორგანიზმთა, კერძოდ ვირუსულ (VP) და ვირუსის მაგვარ (VLP) ნაწილაკთა დეტექტირების სიმულაციური სისტემა-მოდელი ე.წ. „სისტემა სისტემაში“ = სენსორული სისტემა + პროგრამული მოდული (პროგრამული უზრუნველყოფა) ინტეგრირებული ლოკალური (LAN) ტიპის კომპიუტერულ ქსელში.

შემუშავებული სისტემა-მოდელი შექმნილია ბიონანონაწილაკთა სპექტროსკოპული „ანაბექტის“ კონცეფციის ბაზაზე, გამოყენებულია VL ნაწილაკთა დეტექტირების სპექტროსკოპული მეთოდი, რომელიც ემყარება ემ ტალღის და VL ნაწილაკის ურთიერთქმედების შედეგის დაფიქსირებას, სპექტრული „პასუხის“ (ინტენსივობის და/ან სხვა სიდიდეების) გაზომვას.

შექმნილია ნანოსენსორული სისტემის სქემა, ქსელური არქიტექტურის მოდელი, ნანოსენსო-

რული სისტემისა და ქსელის მართვის ლოგიკური ელემენტების და დეტექტირება-იდენტიფიკაციის ფორმალური ალგორითმის უზრუნველყოფით.

წარმოდგენილია:

1. სტაციონალური და მობილური სენსორების ინტეგრირებული (SInS) სისტემა. სტაციონალური სენსორული სისტემის გამარტივებული სქემა, შემადგენლობა, ლოკაციის და უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით.
2. VPs ნაწილაკთა მონაცემთა ბაზის (სტატიკური მონაცემთა ბაზა-VPs data bank) ფორმირების საფუძველი.
3. დეტექტირება-იდენტიფიკაციის პროცესის ყოველი ეტაპის შესაბამისი ფორმალური ალგორითმი, ნანოსენსორული სისტემისა და ქსელის მოქმედების სქემა, მართვის ლოგიკური ელემენტებით.

(VLP) ნაწილაკთა გული-გარსი მოდელის ბაზაზე, დეტექტირების ამოცანის თეორიული და სიმულაციური კვლევის შედეგად

მოცემულ იქნა ტალღის (VLP) ნაწილაკზე გაბნევის ამოცანის თეორიული ამონახსნი მკაცრი სახით, მოდელისორი გეომეტრიული და სამი ელექტრული პარამეტრის ნებისმიერი მნიშვნელობისთვის. ამონახსნის ანალიზის შედეგად, დადგენილ იქნა:

- ემ ველის ყველა კომპონენტის დამოკიდებულება გარემოს ელექტრულ, ოპტიკურ და მოდელირებული (VLP) ნაწილაკის გეომეტრიულ, ელექტრულ, ოპტიკურ პარამეტრებზე, დაცემული ემ ტალღის სიგრძეზე.
- გაბნეული ტალღების შემადგენლობა სხვადასხვა რიგის ( $s$ -ური) ჰარმონიკებისგან ე.წ. პარციალური ტალღებისგან, რომელთა ამპლიტუდა განისაზღვრება გაბნეული ველის კომპლექსური მულტიპოლური კოეფიციენტების აბსოლუტური სიდიდებით, განპირობებული სამი გარემოს თვისებით, ასევე გაბნევი (VLP) ნაწილაკის და გარსის რადიუსების თანაფარდობით დაცემული ტალღის სიგრძესთან.
- ამოცანის თეორიული ამონახსნის აპროქსიმაციის მეთოდიკა, მოდელის პარამეტრების ზღვრული მნიშვნელობებისთვის -  $k_q b \gg 1$ ,  $k_q a \gg 1$  ან  $k_q b \ll 1$ ,  $k_q a \ll 1$ , (VLP) ნაწილაკის ზომებისა და ემ ტალღის სხვადასხვა დიაპაზონისთვის.

შედეგად, განისაზღვრება:

○ ალგებრულ განტოლებათა სისტემის საფუძველზე, VLP ნაწილაკის (სისტემის) საკუთარი სიხშირეების თეორიული მნიშვნელობა, დაცემული ემ ტალღის სიხშირის რეზონანსული მნიშვნელობების დიაპაზონი,

○ ემ ველის კომპონენტები მოდელის გეომეტრიული პარამეტრებისა და დაცემული ემ ტალღის სიხშირეთა/ტალღის სიგრძეთა სხვადასხვა თანაფარდობების შემთხვევაში

- (BO) ობიექტიდან გაზნეული ემ ტალღის (სიგნალის) ინტენსივობა, გაზომვადი სიდიდე, პროპორციული ემ ველის ამპლიტუდის კვადრატის,
  - ემ ველი გამზნევ (VLP) ნაწილაკთან ახლო ზონაში, ასევე (VLP) ნაწილაკის გარსის შიდა არეებში ანალიზურად და რიცხვითი სახით ველის ამპლიტუდისა და ფაზის იზოხაზების სახით, განხორციელდა მანქანური, რიცხვითი ექსპერიმენტები, (VLP) ნაწილაკთა გამზნევი და სპექტრო-სკოპული თვისებების სიმულაციური შესწავლა ვირუსთა სამიზნე ჯგუფის (რინოვირუსის), ასევე მსგავსი (T7, MS2, STNV) და განსხვავებული (M13, TMV) ფორმის ვირიონების მახასიათებელ ელექტრო-გეომეტრიულ (3e-2g) პარამეტრთა შერჩეული სიმრავლის და ტალღის სიგრძის დიაპაზონებში. შედეგად:
    - ◆ მოდელირებულ (VLP) ნაწილაკთა გამზნევის მახასიათებელთა ბაზაზე, გამოვლინდა (VLP) ნაწილაკთა სპექტროსკოპული, რეზონანსული თვისებები, ტალღის სიგრძის ( $\lambda$ ) მაქსიმალურად სენსიტიური, რეზონანსული დიაპაზონების განსაზღვრის შესაძლებლობა, (3e-2g) პარამეტრების (VLPs) ნაწილაკთათვის.
    - ◆ დაფიქსირდა VLP ნაწილაკთა ემ ტალღის ველში სპექტრული პასუხი (რესპონსი), გამოიკვეთა ემ ტალღის სიგრძის სენსიტიური  $\lambda = d_2$ ,  $\lambda < \pi d_2$ ,  $\lambda < \sqrt{\epsilon_2} \pi d_2$  დიაპაზონები.
    - ◆ შემუშავებული სკრიფტ-პროგრამების გამოყენებით შესწავლილ იქნა VLPs ნაწილაკთა გამზნევი თვისებების, მახასიათებელი სიდიდეების ( $\sigma_T, \sigma_F, \sigma_B, RP$ ) დამოკიდებულება ნაწილაკთა შიდა/გარე დიამეტრებზე, გული-გარსი-გარემოს დიელექტრიკულ შეღწევადობებზე, ემ ტალღის სიგრძეზე, სისტემის (ემ ტალღა-ნაწილაკი) მახასიათებელ პარამეტრთა ნებისმიერი მნიშვნელობებისთვის.
    - ◆ დადასტურდა სისტემის (ნაწილაკი-ტალღა) სენსიტიურობა, გამზნევი თვისებების ძლიერი დამოკიდებულება პარამეტრების მცირე ცვლილებაზე, მახასიათებელი  $\sigma_T, \sigma_F, \sigma_B$  სიდიდეების მკვეთრად განსხვავებული მნიშვნელობები ელექტრო (3e)-გეომეტრიულ (2g) პარამეტრთა სხვადასხვა სიმრავლისთვის
    - ◆ შემუშავებული სკრიფტ-პროგრამის ( $\sigma_F, \sigma_B, \sigma_T$  vs VLP -  $\lambda$ ) საფუძველზე, რიცხვითი, გრაფიკული სახით დემონსტრირებულ იქნა კონკრეტული გეომეტრიის ვირუსების შესაბამისი მოდელების „სპექტრები“, ემ ტალღის სიგრძის სხვადასხვა დიაპაზონში (იხ. დანართი გრაფიკები)
    - ◆ გამოვლინდა VLP ნაწილაკთა მკაცრად სპეციფიური და უნიკალური სპექტრის, ე.წ. სპექტროსკოპული „ანაბეჭდის“ არსებობის, შეფასების და მათ ბაზაზე VLP ნაწილაკთა დიფერენცირების შესაძლებლობა,
    - ◆ განისაზღვრა სენსორული სისტემის სენსირების ძირითადი საფუძველი, VLP ნაწილაკთა სპექტროსკოპული „ანაბეჭდის“ სახით. შემუშავდა VP და VLP ნაწილაკთა დეტექტირება-იდენტიფიკაციის კომპიუტერული მოდელური სქემის და მონაცემთა იმპირებული ბაზის შექმნის ძირითადი თეორიული საფუძველები.
- განსაზღვრულ იქნა ემ ტალღების გამზნევის ამოცანის ამონახსნი მრავალნაწილაკიანი სისტემისთვის, მოცემული პარამეტრების ( $L_\lambda \gg 1$ ) დეტერმინირებულ (CE) მოდელურ გარემოში, ერთეულ (VLP) ნაწილაკზე ემ ტალღის გამზნევის ელექტროდინამიკის ამოცანის ამონახსნის

საფუძველზე, ერთ/ორ პარამეტრიანი მოდელური ამოცანისთვის - ქაოსური განაწილების, ერთნაირი დიამეტრის და შემადგენლობის (VLPs) ნაწილაკებზე.

ველის ფლუქტუაციური თეორიის საფუძველზე, შემთხვევითად არაერთგვაროვან (CE) გარემოში, გაბნეული ემ ველი წარმოდგენილ იქნა ფუნქციის საშუალებით, რომელიც განისაზღვრება ცალკეული ფუნქციონალური დამოკიდებულებების სახით, ემ ველის ელექტრული და მაგნიტური კომპონენტების ამპლიტუდის და ფაზის გათვალისწინებით (დეტერმინისტული ამონახსნის ბაზაზე).

სტატისტიკურ პარამეტრთა (დისკრიპტორთა) შეფასების მეთოდის, „ფონური“ სტატისტიკური და „ფონური“ სტატისტიკური საშუალოდან გადახრა/დისპერსია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც კონცენტრაციის, ზომის და დროის, ასევე რეალური გარემოს დამახასიათებელ სხვა პარამეტრებთან მიმართებაში, სივრცის ერთ ან მრავალ წერტილში.

#### დასკვნები

შემუშავებულია VL ნაწილაკთა დეტექტირების სისტემა-მოდელი, ერთიანი თეორიული და სიმულაციური კვლევის მეთოდის, კლასიკური ელექტროდინამიკის თეორიების და მეთოდების გამოყენებით ბიოობიექტების გამზნევი და სპექტროსკოპული თვისებების შესასწავლად.

(VP) და (VLP) ნაწილაკთა დეტექტირება-იდენტიფიკაციის მოდელი განიხილება როგორც საფუძველი და ეტალონური ამოცანა ვირუსთა სხვადასხვა სახეობების განმედგარისის ტემებისთვის შემდგომ კვლევებში.

შემუშავებული იქნა ოპტიკური დეტექტირების ორიგინალური ფიზიკური მოდელი, დაფუძნებული ვირუსულ ნაწილაკთა განხილვაზე ფიზიკური ობიექტის სახით, ყოველი ვირიონისთვის დამახასიათებელი სპეციფიური ელექტრო-გეომეტრიული პარამეტრების სიმრავლით და უნიკალური სპექტროსკოპული „ანაბეჭდით“, რომლის ანალოგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვა ტიპის ბიოობიექტების (ბაქტერიების, ცოცხალი უჯრედების) დეტექტირებისთვის, სტრუქტურის შესაბამისი მოდელის არსებობის პირობებში.

- VL ნაწილაკთა გული-გარსი მოდელის ბაზაზე, შემუშავებული VL ნაწილაკთა დეტექტირების, თეორიული და სიმულაციური კვლევის მეთოდის გამოყენება
  - ა) ბიოლოგიური წარმოშობის ნაწილაკთა (ვირუსები), ბიოაეროზოლურ (ვირუსის შემცველი) ნაწილაკთა, ბიოაგენტთა (ხელოვნურად გენერირებული),
  - ბ) არაბიოლოგიური წარმოშობის ნაწილაკთა (წყლის წვეთების, ყინულის სფეროების და ჩხირების, აზბესტის ბოჭკოების, ტექსტილის, მჭვარტლის, ატმოსფერული და აეროზოლური ნაწილაკების და სხვა),

გ) მიკრო და ნანო ნაწილაკთა,

დ) ჰიბრიდული (ორგანული-არაორგანული) ნანონაწილაკების

სპექტროსკოპული და გამზნევი თვისებების შესწავლისთვის.

- გული-გარსიმოდელის VL

ნაწილაკზემეტალისგაზნევისამოცანადაშესაბამისიმეთოდიკაშესაძლებელიაგამოყენებულიქნასსფერულიდაცილინდრულიფორმისსასრულირაოდენობისგარსისმქონე (ფენოვანისტრუქტურის) ერთეულიბიო, ასევეარა-ბიომიკროდანანონაწილაკთა ელექტროდინამიკური პარამეტრების, გამომსხვივებელი და რეზონანსული თვისებების შესასწავლად სხვადასხვა გარემოში.

- შემუშავებული პროგრამული პაკეტის სკრიპტ-პროგრამების გამოყენების არეალს წარმოადგენს:

ა) ერთეული გული-გარსი მოდელის სფერული და ცილინდრული ფორმის VL ნაწილაკთა,

ბ) ერთეული ერთგვაროვანი სფეროს და ცილინდრის ფორმის VL ნაწილაკთა

კვლევის და დეტექტირების ამოცანები, (VL) ნაწილაკთა და სისტემის (ტალდა-ნანონაწილაკი) ნებისმიერი ელექტრო-გეომეტრიული პარამეტრების, ტალღის სიგრძის, ასევე არამშთანთქავი და მშთანთქავი გარემოს (გული, გარსი, გარემომცველი გარემო) შემთხვევებში.

- სკრიპტ-პროგრამების და გამოთვლითი პაკეტების ბაზაზე შესაძლებელია მანქანური, რიცხვითი ექსპერიმენტების ჩატარება, სისტემის ტალდა-ნანონაწილაკი სიმულაციური შესწავლა, პროგრამული მოდულების ცალკეული ბლოკების გამოყენება ერთეულ ნაწილაკებზე ემ ტალღების გაზნევის ამოცანების სიმულაციური პროგრამების შექმნისას.

- (VL) ნაწილაკთადეტექტირება-იდენტიფიკაციის პროგრამული პაკეტი ითვალისწინებს გავრცობას, იდენტიფიცირებისთვის დამატებითი ინფორმაციის ჩანაცვლებას, შედეგის ანალიზს, ტექსტური სახით შეტყობინებას VP ნაწილაკის იდენტიფიკაციის/დასახელების შესახებ. მიღებული შედეგები მოდელის, თეორიული, პროგრამული დარიცხვითი სახით განიხილება ვირუსულ ნაწილაკთა, ბიოაგენტთა მონაცემთა, ე.წ. სპექტროსკოპულ „ანაბეჭდთა“ ბაზის შექმნის ერთ-ერთ წინაპირობად და საფუძვლად, სპექტროსკოპულ ექსპერიმენტულ გაზომვებთან კომბინაციაში.

2.პროექტის მიზანია მაღალი წინაღობის ფუძეშრეზე GaN-ის და AlN-ის მყარი ხსნარების მაღალხარისხოვანი ზეთხელი ფირების მიღება დაბალტემპერატურული ( $T \leq 700^{\circ}\text{C}$ ) პროცესების გამოყენებით.

ამ მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ ჩვენს მიერ აპრობირებული და დამუშავებული მეტალების ვაკუუმურ-მაგნეტონული გაფრქვევის დაბალტემპერატურული ტექნოლოგია. შესაბამისად მოდერნიზებულ იქნა ჩვენს განკარგულებაში არსებული სტანდარტული ვაკუუმური დაფენის დანადგარი და ასევე, ჩვენს მიერ შექმნილი ორიგინალური იმპულსური-ფოტონური ზემოქმედების ორი დანადგარი, რის შედეგად, შესაძლებელი შეიქნა დაბალტემპერატურული ( $\leq$

300°C) ტექნოლოგიით GaN-ის და AlN-ის მაღალხარისხოვანი ზეთხელი ფირების მიღება, იმპულსური-ფოტონური გამოწვის ჩატარება (ამ შემთხვევაში ტემპერატურა  $\leq 700^{\circ}\text{C}$ )

მიღებული ფირების ხარისხის შესაფასებლად შერჩეულ და გამართულ იქნა GaN-ის და AlN-ის სტრუქტურების ელექტროფიზიკური და ოპტიკური პარამეტრების გამზომი აპარატურა და დამუშავდა ექსპერიმენტული მეთოდები, რომელთა საშუალებით გაიზომა: ა) გამოსვლის მუშაობა; ბ) ნახევარგამტარის ტიპი ცხელი ზონდის მეშვეობით; გ) კუთრი წინაღობა, ძვრადობა და კონცენტრაცია ოთხზონდიანი მეთოდით; დ) ზედაპირის ხაოიანობა და ფირის სისქე მიკროსკოპის საშუალებით; ე) ოპტიკური შთანთქმის, არეკვლის და გაშვების სპექტრები; ვ) ჩატარდა რენტგენოსტრუქტურული ანალიზი.

ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალური რეჟიმების დასადგენად სხვადასხვა ტექნოლოგიურ რეჟიმებში მიღებულ იქნა GaN-ის და AlN-ის ფირები (სისქე 10÷700 ნმ) სამი ტიპის საფენზე – 1) საფირონზე; 2) სილიციუმზე და 3) სილიციუმის ორჟანგზე. შემდეგ, დადგენილი რეჟიმებით ჩატარდა GaN+AlN-ისა და AlN+GaN-ის სტრუქტურების ფორმირება და მათი ლეგირება სხვადასხვა მინარევით (In, Si, Mg, Fe).

მიღებული შედეგები და ეფექტი:

- დადგენილია მაღალი ხარისხის ნიტრიდების ფორმირების დაბალტემპერატურული ( $\leq 700^{\circ}\text{C}$ ) ტექნოლოგიური პროცესების (ვაკუუმში ფორმირება, იფგ) ოპტიმალური რეჟიმები;
- შემოღებულია ანტიმაკავშირებელი ნაწილაკთა კრიტიკული კონცენტრაციის ცნება ( $n_{cr}$ ) ორგანოზომილებიანი სისტემისთვის და მიღებულია მისი შესაბამისი გამოსათვლელი ფორმულა;
- დაბალ ტემპერატურებზე მიღებულია GaN და AlN-ის ფირები სამი ტიპის საფენზე ( $\text{Al}_2\text{O}_3$ , Si,  $\text{SiO}_2$ );
- რენტგენოსტრუქტურულმა ანალიზმა აჩვენა, რომ საწყისი ნიტრიდული ფირები ამორფული და ნაწილობრივ პოლიკრისტალურია, მაგრამ დეფექტური.
- იმპულსური-ფოტონური გამოწვის შემდეგ დიფრაქტოგრამებიდან ჩანს, რომ დეფექტურობა შემცირდა და კრისტალიზების ხარისხი გაუმჯობესდა – შემცირდა ამორფულობაც და გაიზარდა პოლიკრისტალური ჩანართები;
- მიღებული ნიტრიდების ელექტრო-ფიზიკური პარამეტრებია:  
ა) აკრძალული ზონა  $E_g$  განისაზღვრა, როგორც 3.5–3.4 ევ (GaN) და 5.85÷6.2 ევ-ს (AlN);  
ბ) გარდატეხის მაჩვენებელი სპექტრის ხილული სინათლის უბანში არის: 1.90÷2.4 (GaN) და 1.87÷1.98 (AlN), რაც შეესაბამება თეორიულ მნიშვნელობებს;
- გ) გამტარებლობის ტიპი – ელექტრონული;
- დ) გამოსვლის მუშაობა: საფირონზე, Si-ზე და  $\text{SiO}_2$ -ზე დაფენილი GaN-ისთვის ტოლია 4.88 ევ, 4.95 ევ და 5.10 ევ, ხოლო AlN-ისთვის 5.25 ევ, 4.74 ევ და 4.39 ევ, შესაბამისად;

ე) ფორმირებული ნიტრიდების ხორკლიანობა საფენებთან შედარებით ოდნავ გაიზარდა;

ვ) ფორმირებული ნიტრიდების სისქეები პარტიების მიხედვით  $10 \pm 700$  ნმ ინტერვალშია;

ზ) ოპტიკური შთანთქმა/გაშვების სპექტრებზე დაიმზირება რამდენიმე პიკი, რომელთა ინტენსივობა იფგ-სთან ერთად იზრდება;

3. განხორციელდა ელემენტარული ნახშირბადის, სილიციუმის, ბორის და მათი კარბიდების შემცველი კაზმების წისქვილებში, დაქუცმაცების და მექანიკური ლეგირების შესახებ ბეჭდვით და ელექტრონულ ლიტერატურულ წყაროებში ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოძიება და ანალიზი. გაკეთდა არსებული მონაცემების სისტემატიზაცია და საკითთან მიმართებაში სასარგებლო ინფორმაციის დამუშავება/მონაცემთა ბაზის შექმნა.

ჩატარდა Si-C, B-C, Si-B ორკომპონენტური სისტემების ფაზური დიაგრამების ანალიზი, განხორციელდა სისტემის თერმოდინამიკური ანალიზი. განისაზღვრა კარბიდების წარმომქმნელი კონცენტრაციულ-ტემპერატურული დიაპაზონები.

ჩატარდა Si/SiC-B/B4C-C სისტემის თერმოდინამიკური ანალიზი;

კვლევების საფუძველზე დადგინდა კვლევების შემდგომ ეტაპზე კაზმების მოსამზადებლად Si, SiC, B, B4C, C-ის კომპონენტების პროცენტული თანაფარდობები. განხორციელდა წისქვილში დამუშავების წინასწარი ცდები და ექსპერიმენტულად შემოწმდა/დასაბუთდა შერჩეული კომპოზიციების მიზანშეწონილობა.

გამოკვლეულ იქნა სარეაქციო ნარევების ნაწილაკების ფრაგმენტაციის ხარისხის დამოკიდებულება დაფქვა-ლეგირების ტექნოლოგიურ პარამეტრებზე. კონკრეტული კომპოზიციებისთვის აგებულ იქნა დამოკიდებულებები:

დრო-ნაწილაკთა ზომები;

სიჩქარე-ნაწილაკთა ზომები;

ექსპერიმენტულად დადგენილ იქნა ფხვნილების კაზმების დაწვრილმარცვლოვნების ოპტიმალური რეჟიმები და წინასწარი რენტგენოფაზური ანალიზით განისაზღვრა ლეგირებული მასის ფაზური შედგენილობა, რის საფუძველზეც გაკეთდა წინასწარი დასკვნები სინთეზის პირობებისა და მექანიზმების შესახებ

თ) ნიტრიდების ფორმირების დადგენილი დაბალტემპერატურული ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალური რეჟიმების მიხედვით ჩატარდა AlN-GaN და GaN-AlN სტრუქტურების ფორმირება ფირის სისქეები: AlN (150–200 ნმ) და GaN (610–690 ნმ);

ი) ჩატარდა მიღებული სტრუქტურების სხვადასხვა მინარევით (In, Si, Mg და Fe) ლეგირება ზრდის

პროცესში მყარი ფაზიდან იმპულსური ფოტონური დასხივების საშუალებით.

კ) უნიკალური შედეგი მივიღეთ GaN-ის Fe-ით ლეგირების შედეგად – ლეგირებული ნიტრიდები ტიპის გამტარებლობას იძლევა. ამასთან, p-ტიპის ფირებში დენის მატარებელთა კონცენტრაციებ და ძვრადობები  $1.6 \times 10^{16} \div 1.3 \times 10^{18} \text{ სმ}^{-3}$  და  $11 \div 66 \text{ სმ}^2/\text{ვ.წმ}$ -ს შეადგენს, შესაბამისად.

პროექტის შედეგებზე გამოქვეყნებულია 6 შრომასაერთაშორისო კონფერენციების მასალებში და სამეცნიერო ჟურნალებში.

#### I. 4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ნანომავთულების გაზრდის ახალი ტექნოლოგიების შემუშავება და აირების ზემგრძნობიარე სენსორების დამზადება (ნანოტექნოლოგია)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (გრანტი N04/05–2016) დასტკუ-ს (#6204) ერთობლივი გრანტი	დავით ჯიშიაშვილი	1. ზ. შიოლაშვილი 2. ნ. მახათაძე 3. ა. ჯიშიაშვილი 4. ა. ჭირაქაძე 5. ლ. ჩხარტიშვილი 6. გ. ჭონიშვილი
2	ბირთვულ ენერგეტიკაში გამოყენებული აუსტენიტური Cr-Ni კონსტრუქციულ ფოლადებში, დაბალ- ციკლური და დიდი სიჩქარით თი დეფორმაციით გამოწვეული, ლოკალიზირებული პლასტიკური არეებისა და პლასტიკური ზონების შესწავლა.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თამაზ ეთერაშვილი	თეიმურაზ ძიგრაშვილი ლევან კოტიაშვილი მანანა ვარდოსანიძე გრიგოლ აბულაძე



	1–საბუნებისმეტყველო, 2--ინჟინერია და ტექნოლოგიები			
3	ნახშირბადის ნანოფორმების და მათი მაგნიტური კლასტერებით დოპირებული ახალი ნანოკომპოზიციების მიღება და კვლევა.  საინჟინრო მეცნიერებები	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ე.ქუთელია	ლ.რუხაძე თ.ძიგრაშვილი ო.წურწუშია ბ.ერისთავი თ.კუკავა დ.გვენცაძე ნ.ჯალაბაძე

